| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის მფლობელობაში არსებულ ფართში (943 კვ.მ.) განთავსებულია 16 აუდიტორია, მათ შორის: 14 საკლასო ოთახი, 2 ოთახი განაყოფებისთვის. ასევე: 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ისტ -ის ლაბორატორია, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 სამასწავლებლო, 1 სამედიცინო კაბინეტი, 1 ბიბლიოთეკა, 1 სპორტული დარბაზი, 1 ქიმიური და სადეზინფექციო მარაგების ოთახი.<br><br>საკლასო ოთახებში საერთო ჯამში განთავსებულია არსებული მოსწავლეების რაოდენობის (178) შესაბამისი ინდივიდუალური მერხი და სკამი (სკოლას მფლობელობაში აქვს სულ 245 მერხი და სკამი, რომლებიც დასაწყობებულია შესაბამის ფართში). ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კედელზე განთავსებულია დაფები, სასწავლო თვალსაჩინოებები, მოსწავლეთა ნაშრომები,<br><br>ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში საერთო ჯამში შესაძლებელია განთავსდეს 250 მოსწავლის მაგიდა და სკამი.<br><br>**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახები და მათი აღჭურვილობა მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• აზომვითი ნახაზები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის პირველ სართულზე მდებარეობს 68 კვ.მ, ფართობის სპორტული დარბაზი. დარბაზი აღჭურვილია ჩოგბურთის მაგიდით, შვედური კედლით და სხვა სპორტული ინვენტარით. დარბაზის გვერდით განთავსებულია გასახდელები გოგონებისა და ბიჭებისთვის. შესყიდვის დოკუმენტაციებისა და დათვალიერების შედეგებით დგინდება, რომ სკოლის მფლობელობაშია სპორტული ლეიბები, ბოულინგის კომპლექტი, მხიარული სტარტებისთვის საჭირო ინვენტარი, 6 ჭადრაკის მაგიდა, 3 მაგნიტური სადემონსტრაციო დაფა. დარბაზში დგას პიანინოც და კიდია ინტერაქტიული დაფა. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, დარბაზი საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ასევე პროექტების საპრეზენტაციოდ.<br><br>სკოლის პატარა ეზოში არის მოედანი, სადაც დამონტაჟებულია 1 კალათბურთის ფარი და განთავსებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სასრიალო და საქანელა.<br><br>სკოლის დირექციის წარმომადგენლების და სპორტის მასწავლებლის განცხადებით სპორტული აქტივობების ჩასატარებლად მოსწავლეები გაყავთ იქვე მდებარე კიკვიძის ბაღში, სადაც ტარდება ფეხბურთის, კალათბურთის, ტურნირები, ხოლო მაგიდის ჩოგბურთის ტურნირები ტარდება სკოლის სპორტულ დარბაზში.<br>**<u>სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცათ რჩევა სპორტული დარბაზის გაუმჯობესებასთან ან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე სკოლაა და მათ შორის არის საჯარო სკოლაც, სპორტული დარბაზის ქირავნობასთან ან იჯარის ხელშეკრულებით აღებასთან</u>** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ჩხიკვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სპორტული სახეობის შეთავაზების შესაძლებლობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში 1 საბუნებისმეტყველო კაბინეტია, რომელშიც განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი, გამწოვი ფარი და განთავსებულია სადემონსტრაციო მაგიდა სკამებით. სასწავლო პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი და რეაქტივები დაცულია კარადებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და ფაქტობრივი გარემოებით. სკოლის საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალურ გათბობის სისტემა და შესაბამისად, უზრუნველყოფილია გათბობით. პირველ სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძები გოგონებისათვის (4 კაბინა), ვაჟებისთვის (2 კაბინა და 2 პისუარი) და ასევე ადაპტირებული სანიტარული კვანძი სსსმ და შშმ პირთათვის. თითო-თითო საკვანძო წერტილი გოგონებისა და ვაჟებისთვის განთავსებულია ასევე მეორე სართულზე.<br><br>**ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ** სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოა შექმნილი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ელექტროენერგიის და წყლის გადახდის ქვითრები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე და მასში დაცულია 1096 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და შეტანილია ელექტრონულ კატალოგში **Openbiblio.** ასევე, შემუშავებულია და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები და ანბანური ბარათული კატალოგი.<br><br>ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის საათები და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი Openbiblio;<br>• წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები;<br>• საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი;<br>• სასაქონლო ზედნადებები; |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი და მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებზე მიმაგრებულია პანდუსები. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა აქვს, სივრცე, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში განთავსდება რესურს ოთახი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• მიღება ჩაბარების აქტები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს: ინტერნეტში ჩართული 16 კომპიუტერი, მათ შორის, 1 კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, 1 დირექტორის კაბინეტში, 1 ოფის მენეჯერთან, 1 საკლასო ოთახში, 12 ისტ-ის კაბინეტში. სკოლას აქვს ასევე 2 მულტიფუნქციური პრინტერი და 1 პროექტორი.<br><br>ყველა კომპიუტერი მუშა მდგომარეობაშია, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია მათი განახლება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის ვებგვერდი https://pegasschool.ge/ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია: სკოლის მისია და მიზანი, შინაგანაწესი; სკოლის წესდება; საგნობრივი კათედრები, ელექტრონული ჟურნალი; ელექტრონული ბიბლიოთეკა **Openbiblio;** საკონტაქტო ველი.<br><br>ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა ვებგვერდზე ახალი ველის - „სიახლეების შესახებ“- დამატებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სწრაფ და ეფექტიან ინფორმირებულობას.<br><br>სკოლას აქვს facebook გვერდი Pegas School, სადაც შექმნილია ჯგუფები კლასების მიხედვით და რომელიც ასევე ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლის ელექტრონული ფოსტაა: skolapegas@gmail.com |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის ვებგვერდი https://pegasschool.ge/;<br>• სკოლის facebook გვერდი Pegas School;<br>• სკოლის ელექტრონული ფოსტა skolapegas@gmail.com<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>• ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა - სკოლის მიერ შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია შპს პეგასის დირექტორის ბრძანებით N25ა, 09.09.2021. სკოლაში უსაფრთხო გარემოსა და სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების გატარების მიზნით სკოლაში დირექტორის ბრძანებით N1-25ა, 09.09.2021 შექმნილია ასევე საგანგებო ვითარების პირობებში მოქმედი იპერატიული შტაბი და გაწერილია წევრთა მოვალეობები.<br><br>შენობაში განთავსებულია წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები (6). და დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო თბური სისტემა-დეტექტორი.<br><br>სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, რომლებიც 2016 წელს არის შემუშავებული. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის - საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 (დანართი N1) - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ - თანახმად სკოლა უზრუნველყოს ახალი ევაკუაციის გეგმებით.<br><br>სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა, მაცივარი, მაგიდა, საკაცე, დამონტაჟებულია ონკანი, დგას სასწორი და გამოკრულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. ექთანთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს ჩატარებულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების ჩამოწერას და მიღებას.<br><br>სამედიცინო პირის უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მუხლი 42). სხვა საკითხებთან ერთად მის მოვალეობაში შედის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების - Covid19-ის გაიდლაინის დაცვა და საუბრები პირველადი სამედიცინო დახმარების უნარ–ჩვევების, სხვადასხვა ეპიდემიისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ. სკოლაში შესაბამის ადგილებზე განთავსებულია ანტისეპტიკური საშუალებები.<br><br>**სკოლას არ ჰყავს ექიმი, იხ. სტანდარტი 3.1.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სამედიცინო დახმარების მექანიზმები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• ჩანაწერების ჟურნალი;<br>• ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ჩხეიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისობის დასადგენად, 2022 წლის 4 მაისს, გადაეგზავნა გლდანი-ნაძალადევის რესურსცენტრის რაიონის უფროსს და ეთხოვა შუამდგომლობა დოკუმენტის შეთანხმებასთან დაკავშირებით. პროცესი, ვიზიტის პერიოდში, დასრულებული არ იყო.<br><br>წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფენ დამრიგებლები. ისინი ახორციელებენ კონტროლს და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვა–ამაღლებაზე, ეხმარებიან კლასის მასწავლებლებლებს სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის სწორად განხორციელებაში, აკონტროლებენ სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანებებს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფენ მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში, ან მის ჯანმრთელობას ან პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა. რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შემთხვევაში, სკოლის ფსიქოლოგთან ერთად გეგმავენ მათთან მუშაობას და შეიმუშავებენ შესაბამის მეთოდებს.<br><br>ექსპერტთა რჩევით, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ ხელშეკრულებები გააფორმა 3 დარაჯთან და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოგვაწოდა ვიზიტის მიმდინარეობისას ელ. ფოსტის საშუალებით (დანართი N1). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სადამრიგებლო პროგრამები;<br>• შპს ,,პეგასის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>• წერილი გლდანი-ნაძალადევის რესურს ცენტრის რაიონის უფროსს;<br>• შინაგანაწესი;<br>• გასაუბრების შედეგები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ღამის დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (დანართი N1);<br>• სკოლის შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. შენობის და მიმდებარე ტერიტორიის გასაკონტროლებლად დაწესებულებას აქვს კამერები, მათ შორის 5 დამონტაჟებულია სკოლის შენობაში, ხოლო 4 - გარე პერიმეტრზე. ერთი კამერა ექსპერტთა რეკომენდაციით შენობის უკანა ფასადზე სკოლამ შეისყიდა და დაამონტაჟა ვიზიტის პერიოდში (მიღება-ჩაბარების აქტი 14.06.2022). სათვალთვალო კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კამერების კონტროლს ახორციელებს დირექტორი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობა;<br>• ვიდეო-სამეთვალყურეოს სისტემის ფლობის დოკუმენტაცია; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლამ წარმოადგინა გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტი შინაგანაწესის სახით, რომელიც განხილულია პედსაბჭოს სხდომაზე (ოქმი N1 03.09.2021) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით  (N 1-22, 03.09.2021).<br><br>სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს  სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობებს და კონკრეტულ სამუშაო აღწერილობებს, დირექციის, ტექნიკური თანამშრომლების, საგნობრივი კათედრების, დამრიგებლების, მასწავლებლების და მოსწავლეების უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებს, სახდელებს შრომის დისციპლინის დარღვევისთვის, წახალისების ფორმებს, ჟურნალების შევსების წესს დ.ა.შ.<br><br>შინაგანაწესი უზრუნველყოფს შრომის დისციპლინის დაცვას, არეგულირებს სასწავლო/სამუშაო დროს, აწესრიგებს  სკოლის გამართულ  მუშაობას, უზრუნველყოფს სკოლის მისიის შესრულებას, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში აკადემიური წარმატების ხელშეწყობისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას და ჩამოყალიბებას.<br><br>დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის და კლასიდან კლასში გადაყვანის წესები, სასწავლო წლის და არდადეგების ხანგრძლივობა და განრიგი, მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის ფორმები.<br><br>სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება და მისი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა სკოლაში დასაქმებულ ნებისმიერ პირზე, მიუხედავად მისი თანამდებობისა, სკოლის მოსწავლეებზე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ მოსწავლეთა მშობლებზე (კანონიერ წარმომადგენლებზე) და გარეშე პირებზე.<br><br>სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი, ასევე წახალისების ფორმები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<br><br>სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე სხვადასხვა პოზიციებისთვის სამუშაო აღწერილობები: დირექტორის, ბიბლიოთეკარის, საქმის მწარმოებლის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, დირექტორის მოდგილის სასწავლო აღმზრდელობით დარგში, ოფის მენეჯერის, საინფორმაციო მენეჯერის და სხვა. შემუშავებულია ასევე სკოლა „პეგასის" ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს „პეგასის" შინაგანაწესი;<br>• სკოლა „პეგასის" ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ჩხიკვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სტრუქტურული ერთეულების დებულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლამ წარმოადგინა 2016-2022 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები.<br><br>ექსპერტთა მიერ შემოწმებული 2016-2022 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში „პრიორიტეტებად" (23) არის ჩაშლილი მთელი სასწავლო პროცესი, მაგრამ არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები. ასევე არ არის განსაზღვრული, თუნდაც ამ პრიორიტეტების შესრულების ამოცანები და შესრულების ინდიკატორები. წლების მიხედვით ჩაშლილ პრიორიტეტებში, გვხვდება ისეთებიც, რომლებიც ყოველი სასწავლო წლის თანმდევი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მხოლოდ ერთ სასწავლო წელზეა გათვლილი, მაგ: კორექციული მუშაობის ხელშეწყობით აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება (2019-2020); სუფთა და კეთილმოწყობილი საკლასო ოთახებისა და სასკოლო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა ეფექტური სწავლისთვის (2021-2022); მშობელთა აქტიურად ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში (2016- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2017); რესურსების მართვის ხარისხების გაუმჯობესება (2016-2017) და მრავალი სხვა.<br><br>ერთწლიანი (2021-2022) სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 07 ივლისის 1-22 ბრძანებით. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 4 პრიორიტეტია გამოყოფილი: სწავლა-სწავლება; ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება; სკოლის მენეჯმენტი, მატერიალურ ტექნიკური ბაზა. ყოველივე ზემოთქმული შეიძლება მიზნებად წარმოვიდგინოთ, მაგრამ არ არის განსაზღვრული ამოცანები, შესასრულებელი კონკრეტული აქტივობები, საჭირო მატერიალური რესურსი, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები.<br><br>ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რჩევა - შემუშავდეს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ჩარჩო, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მიზნებს, ასევე ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;<br>• 2016-2022 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| |
|---|
| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ჩხიკვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესი შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. წესის თანახმად სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კორესპონდენციები დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით:<br>• გასული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>სკოლას ჰყავს ოფის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შემოსული და გასული კორესპონდეციების, ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები;<br>• საქმისწარმოების ერთიანი წესი; |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | • შემუშავდეს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ჩარჩო, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მიზნებს, ასევე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.<br>• სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცათ რჩევა სპორტული დარბაზის გაუმჯობესებასთან ან ახლო მდებარე ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე სკოლაა და მათ შორის არის საჯარო სკოლაც, სპორტული დარბაზის ქირავნობასთან ან იჯარის ხელშეკრულებით აღებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სპორტული სახეობის შეთავაზების შესაძლებლობას. |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 172 მოსწავლე, მათ ემსახურება სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი ადამიანური რესურსი - 31 მასწავლებელი. სასწავლო საშტატო განრიგის თანახმად სკოლას ჰყავს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით |

| | |
|---|---|
| | დარგში, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, ოფის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ფსიქოლოგი, ექთანი, დამლაგებელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ვიზიტის პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება სკოლის 3 დარაჯთან.<br><br>სკოლას, არ ჰყავს ექიმი, მაგრამ გაითვალისწინა რა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და დაცვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება -N41/ნ/01-23/ნ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების შესახებ“ და გამოაცხადა კონკურსი ექიმის პოზიციაზე (დანართი N2). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სტრუქტურა;<br>• საშტატო განრიგი;<br>• განაცხადი ექიმის ვაკანსიასთან დაკავშირებით (დანართი N2);<br>• ფაქტობრივი მდგომარეობა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

## ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

გ

| | |
|---|---|
| **პედაგოგთა საერთო რაოდენობა** | **31** |
| **მოწვეული/მაძიებელი** | **2/4** |
| **უსტატუსო მასწავლებლი** | **4** |
| **უფროსი მასწავლებლი** | **20** |
| **წამყვანი მასწავლებლი** | **1** |
| **მენტორის სტატუსი** | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს პეგასის მასწავლებლები შერჩეულნი არიან საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სერტიფიკატები. სკოლის 20 პედაგოგს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 1 წამყვანი მასწავლებელია, 4 მასწავლებელი მაძიებელია, 4 უსტატუსო და ემზადება საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებისთვის მიმდინარე 2022 წელს, 2 მასწავლებელი 2022 წლის ივლისში ასრულებს მასწავლებლის 60-კრედიტიან პროგრამას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების გამოცდებზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ამონაწერი ემისიდან;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ჩხაკვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • გასაუბრების შედეგები;<br>• მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• მასწავლებელთა საგნობრივ გამოცდებზე რეგისტრაციის ფორმები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს პეგასში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. მუხლი 6. წესის თანახმად, რაც ასევე დასტურდება წამოდგენილი დოკუმენტაციით, სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. კონკურსის შემთხვევაში ცხადდება მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/მოწვეული მასწავლებლის კონკურსი, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ ( www.teacherjobs.ge-ზე.) წესის თანახმად დირექტორი უფლებამოსილია მოწვეული ან/და შემცვლელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებლები დაასაქმოს სკოლაში კონკურსის გარეშე. წესით განსაზღვრულია კონკურსის ეტაპები.<br><br>შინაგანაწესით რეგულირდება ასევე დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების, როგორც შეწყვეტის, ასევე წახალისების წესებიც.<br><br>სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. 2. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.<br><br>რამდენადაც შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება ყველა თანამშრომელს ეხება, რაც ხელშეკრულების გაფორმების აუცილებელი პირობაა, შეიძლება ითქვას, რომ უზრუნველყოფილია ყველა პროცესის გამჭვირვალობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს პეგასის შინაგანაწესი;<br>• შპს პეგასის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს პეგასის წარმომადგენლებთან: ადმინისტრაციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც აღწერილია მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო და მოვალეობები, შრომის ანაზღაურება და გადახდის წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი და სხვა. ხელშეკრულებები ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.<br><br>თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის დროს დადასტურდა, რომ ყველა მათგანს წარმოდგენილი აქვს ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის ნასამართლევი და არ აქვს ჩადენილი დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს პეგასმა წარმოადგინა დოკუმენტი - ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები. დოკუმენტით განსაზღვრულია მიზნები და ამოცანები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად პედაგოგთა თვითშეფასების ანკეტური კითხვარების მიხედვით ხდება მათი საჭიროებების დადგენა და შესაბამისი პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა.<br><br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა ინფორმირებას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი სერტიფიკატებით. გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგებით დასტურდება ასევე, რომ ისინი ხშირად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევენ ერთმანეთს რეკომენდაციებს, აქტიურად მონაწილეობენ კათედრების სხდომებში, ერთად აანალიზებენ ჩატარებულ სამუშაოს და ერთად სახავენ სუსტი მხარეების აღმოფხვრის გზებს, რაც უზრუნველყოფს მათ პროფესიულ განვითარებას.<br><br>სხვადასხვა პერიოდში სკოლის პერსონალს და მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და ასევე სკოლის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს პეგასის ადამიანური რესურსის განვითარების მექანიზმები;<br>• მასწავლებლების პირადი საქმეები;<br>• ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან/ თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ჩხუკვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების და მათ მიერ ჩატარებული აქტივობების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სუფევს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.<br><br>მშობლებთნ გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს მათი შვილებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემაზე. ისინი განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ მათი შვილების უსაფრთხოებას და კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები ეხმარებიან მათ სირთულეების დაძლევაში და საჭიროების შემთხვევაში უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს, ასევე სკოლის მთავარ პრიორიტეტად ასახელებდნენ იმას, რომ მათ შვილებს არ სჭირდებათ რეპეტიტორები.<br><br>მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, რომელიც სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარდა, გამოიკვეთა მათი ცოდნის მაღალი დონე და თანმიმდევრული არგუმენტირებული საუბრის მანერა. ისინი საუბრობდენ მასწავლებლების მიერ ჩატარებულ საინტერესო გაკვეთილებზე, განხორციელებულ სხვადასხვა |

| | |
|---|---|
| | პროექტზე, მასწავლებლების მხრიდან მხარდაჭერაზე და მეგობრულ ურთიერთობებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ჩხაპელია

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა -60

- ღამის დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (დანართი N1);
- განაცხადი ექიმის ვაკანსიასთან დაკავშირებით (დანართი N2).

თბილისი, 12.07.2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.